

შპს ბიდიო დიჯიტალ

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	7
4. ამონაგები.....	8
5. გაყიდვების თვითღირებულება.....	8
6. კომერციული ხარჯები	9
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	9
8. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)	9
9. ძირითადი საშუალებები.....	9
10. არამატერიალური აქტივები.....	10
11. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	11
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	11
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	12
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	12
16. პირობითი ვალდებულებები	12
17. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	12

შპს ბიდიო დიჯიტალ

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	Note	2020	2019
ამონაგები	4	5,368,357	4,245,522
გაყიდვების თვითღირებულება	5	(3,964,465)	(2,600,668)
საერთო მოგება		1,403,892	1,644,854
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		363,299	7,154
კომერციული ხარჯები	6	(520,234)	(530,960)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,212,022)	(760,681)
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი	12	(85,545)	(3,820)
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)	8	147,505	56,599
მოგება დაბეგვრამდე		96,895	413,146
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,002)	(268)
წლის მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)		95,893	412,878

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 15 მარტს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი პარტნიორი	_____	ზურაბ ლალაზაშვილი
ფინანსური მენეჯერი	_____	შორენა ბუაძე

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო დიჯიტალ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები		-	-
ძირითადი საშუალებები	9	11,818	37,922
არამატერიალური აქტივები	10	17,974	22,031
სხვა გრძელვადიანი აქტივები			-
სულ გრძელვადიანი აქტივები		29,792	59,953
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11	417,704	654,641
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	2,000,793	1,235,838
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	686,518	866,560
სულ მიმდინარე აქტივები		3,105,015	2,757,039
სულ აქტივები		3,134,807	2,816,992
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,747,540	1,238,318
გადასახდელი დივიდენდები		264,242	324,800
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,011,782	1,563,118
სულ ვალდებულებები		2,011,782	1,563,118
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,800	4,800
რეზერვები			-
გაუნაწილებელი მოგება		1,118,225	1,249,074
სულ საკუთარი კაპიტალი		1,123,025	1,253,874
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,134,807	2,816,992

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო დიჯიტალ

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	რეზერვები	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	4,800	1,160,995	-	1,165,795
პერიოდის სრული მოგება/(ზარალი)	-	412,879	-	412,879
დივიდენდი	-	(324,800)	-	(324,800)
2019 წლის 31 დეკემბერი	4,800	1,249,074	-	1,253,874
პერიოდის სრული მოგება/(ზარალი)	-	95,893	-	95,893
დივიდენდი	-	(226,742)	-	(226,742)
2020 წლის 31 დეკემბერი	4,800	1,118,225	-	1,123,025

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ბიდიო დიჯიტალ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგრამდე	96,895	413,147
კორექტირებები:		
ფინანსური (შემოსავალი) / ხარჯი	(147,505)	(57,288)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება) / ზარალი	184	(8,304)
საექვო ვალების ხარჯი / (შემოსავალი)	85,545	4,509
ცვეთა და ამორტიზაცია	32,265	45,372
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	67,384	397,436
სამუშაო კაპიტალის ცვლილება		
მარაგების (ზრდა) / კლება	236,937	21,019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა) / კლება	(850,501)	(117,707)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (კლება)	509,222	(279,983)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(36,958)	20,765
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,002)	(268)
მიღებული პროცენტები	37,761	35,302
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(199)	55,799
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(9,103)
ფულადი სახსრები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	1,543	35,397
არამატერიალური აქტივების შეძენა	(3,831)	(16,966)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო	(2,288)	9,328
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
პარტნიორების შენატანი	-	-
გადახდილი დივიდენდები	(287,300)	(215,000)
მიღებული / (გადახდილი) სესხები	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(287,300)	(215,000)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	(289,787)	(149,873)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	866,561	994,447
საკურსო სხვაობის ეფექტი	109,744	21,987
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	686,518	866,561

7 - 15 გვერდებზე წამოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბიდიო დიჯიტალ (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია (ID: 205033444) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წელს. კომპანიის სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი 34, თბილისი, საქართველო, ხოლო ფაქტიური მისამართია თარხნიშვილის ქუჩა #2, 0179, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საინფორმაციო ტექნოლოგიურ სისტემებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება.

შპს ბიდიო დიჯიტალი არის შვილობილი კომპანია, რომლის 100% წილის მფლობელი არის შპს ბიდიო.

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე, მათ არ გამოუწვევიათ უარყოფითი ზემოქმედება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს უწყვეტობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ყოველი წლის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, ასევე სასარგებლო მომსახურების ვადის და ამორტიზაციის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

კომპანიაში დადგენილია ძირითადი საშუალებების ჯგუფები, რომლისთვისაც განსაზღვრულია ცხრილში მითითებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	4-5
ავეჯი და მოწყობილობები	4-5
მანქანები	5-7

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუქვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

4. ამონაგები

	2020	2019
პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვიდან	1,832,953	2,043,449
მომსახურების გაწევიდან	3,535,404	2,202,073
	5,368,357	4,245,522

5. გაყიდვების თვითღირებულება

	2020	2019
დანახარჯები პერსონალზე	(2,468,760)	(1,528,918)
ცვეთა და ამორტიზაცია	(8,229)	(20,752)
სხვა ხარჯები	(1,487,476)	(1,050,998)
	(3,964,465)	(2,600,668)

შპს ბიდიო დიჯიტალ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

6. კომერციული ხარჯები

	2020	2019
დანახარჯები პერსონალზე	(303,349)	(279,754)
ცვეთა და ამორტიზაცია	(62,789)	(1,597)
სხვა კომერციული ხარჯები	(154,096)	(249,609)
	(520,234)	(530,960)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
დანახარჯები პერსონალზე	(418,755)	(242,496)
ცვეთა და ამორტიზაცია	(24,036)	(23,023)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(769,231)	(495,162)
	(1,212,022)	(760,681)

8. ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)

	2020	2019
წმინდა საპროცენტო შემოსავალი / (ხარჯი)	37,761	35,302
წმინდა შემოსავალი / (ხარჯი) სავალუტო ოპერაციებიდან	109,744	21,297
	147,505	56,599

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	ავტო და მოწყობილობები	მანქანები	სულ
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	204,775	77,177	-	281,952
შეძენა	1,159	-	-	1,159
გასვლა	(58,566)	(1,027)	-	(59,593)
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	147,368	76,150	-	223,518
შეძენა	-	-	-	-
გასვლა	(14,821)	(385)	-	(15,205)
თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	132,547	75,765	-	208,313

შპს ბიდიო დიჯიტალ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბერს	(133,234)	(57,860)	-	(191,094)
2019 წლის ცვეთა	(26,370)	(624)	-	(26,994)
2019 წ. გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	31,474	1,027	-	32,500
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბერს	(128,131)	(57,457)	-	(185,588)
2020 წ. ცვეთა	(12,312)	(12,065)	-	(24,377)
2020 წ. გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	13,237	240	-	13,477
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის და დეკემბერს	(127,205)	(69,282)	-	(196,487)

წმინდა საბალანსო ღირებულება

2018 წლის 31 დეკემბერს	71,541	19,317	-	90,858
2019 წლის 31 დეკემბერს	19,233	18,689	-	37,922
2020 წლის 31 დეკემბერს	5,304	6,484	-	11,826

10. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	40,003	40,003
შეძენა	16,966	16,966
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	56,969	56,969
შეძენა	3,831	3,831
თვითღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	60,800	60,800
დაგროვილი ცვეთა		
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბერს	(24,503)	(24,503)
2019 წლის ცვეთა	(10,435)	(10,435)
დაგროვილი ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბერს	(34,938)	(34,938)
2020 წლის ცვეთა	(7,889)	(7,889)
დაგროვილი ცვეთა 2020 წლის 31 დეკემბერს	(42,827)	(42,827)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2018 წლის 31 დეკემბერს	15,499	15,499
2019 წლის 31 დეკემბერს	22,031	22,031
2020 წლის 31 დეკემბერს	17,974	17,974

შპს ბიდიო დიჯიტალ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

11. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2020	2019
პროგრამული პროდუქტები	407,145	644,284
სხვა მარაგები	10,559	10,357
	417,704	654,641

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნები	1,866,114	1,263,657
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(128,300)	(42,755)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	122	2
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	41,766	4,786
სხვა მოთხოვნები	221,091	10,148
	2,000,793	1,235,838

ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში

	2020	2019
რეზერვის ნაშთი 1 იანვრისთვის	(42,755)	(34,964)
უიმედო რეზერვის ჩამოწერა	-	-
აღდგენილი რეზერვები	-	-
წლის განმავლობაში შექმნილი რეზერვები	(85,545)	(7,791)
რეზერვის ნაშთი 1 იანვრისთვის	(128,300)	(42,066)
ჩამოწერილი მოთხოვნები		(1,154)
აღდგენილი წინა პერიოდის უიმედო ვალები		5,125
საექვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი	(85,545)	(3,819)
პერიოდის საექვო ვალების ხარჯები	(85,545)	(8,944)
პერიოდის შემოსავალი საექვო ვალების ამოღებით	-	5,125

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	669,195	830,469
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	17,323	36,091
	686,518	866,560

ფული რეზიდენტ ბანკში 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული იყო მხოლოდ სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო კრედიტორული ვალდებულება	1,021,314	563,739
მიღებული ავანსები	354,038	342,526
ვალდებულება თანამშრომლების მიმართ	249,664	177,230
გადასახდელი გადასახადები	122,524	104,328
სხვა ვალდებულებები	-	50,495
	1,747,540	1,238,318

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

16. პირობითი ვალდებულებები**დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

17. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით

წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო	ფუნტი სტერლინგი
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0037	4.4529
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095	3.7593

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტის ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) ჯუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის

რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გაცემა, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის მოხდა გამოცხადება.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარდგენილი ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონებს აღიარებს, როცა შესრულებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შპს ბიდიო დიჯიტალ

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	Note	2020	2019
ამონაგები	4	5,368,357	4,245,522
გაყიდვების თვითღირებულება	5	(3,964,465)	(2,600,668)
საერთო მოგება		1,403,892	1,644,854
სხვა შემოსავალი / (ხარჯები)		363,299	7,154
კომერციული ხარჯები	6	(520,234)	(530,960)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,212,022)	(760,681)
საეჭვო ვალების (ხარჯები) / შემოსავალი	12	(85,545)	(3,820)
ფინანსური შემოსავალი / (ხარჯები)	8	147,505	56,599
მოგება დაბეგრამდე		96,895	413,146
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,002)	(268)
წლის მთლიანი სრული მოგება / (ზარალი)		95,893	412,878

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 15 მარტს შემდეგი პირების მიერ:

მმართველი პარტნიორი




ზურაბ ლალაშვილი

ფინანსური მენეჯერი

შორენა ბუაძე

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.